– რთული იყო თქვენთვის, ამერიკელისთვის, მოგეპოვებინათ მე-7 დანი აიკიდოში?  
 – ძალზე რთული იყო – ამისთვის ორმოცი წელი დამჭირდა.

– რა არის აღმოსავლურ ორთაბრძოლაში მთავარი სიბრძნე?  
 – საბრძოლო ხელოვნების მთავარი არსია არა ის, რომ ვინმე მოკლა ან დაჭრა, არამედ ის, რომ საკუთარ თავში ჩაკლა უარყოფითი ძალა, რომელიც თითოეულ ჩვენგანში არის, შენი სისუსტე. ამას გვასწავლის ყველა აღმოსავლური ორთაბრძოლა. სანამ მოწინააღმდეგეს დაამარცხებდე, უნდა შეძლო საკუთარი ეგოს დამარცხება. როცა ეგომ ვლადპარაკობ, ვგულისხმობ სხვებისთვის შენი ნებასურვილის თავისობის მცდელობას.

– მონაწილეობთ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში?  
 – აბსოლუტურად აპოლიტიკური ადამიანი ვარ. ბუნებით მისტიკოსი ვარ, მივლევი უძველეს სულიერ ტრადიციებს და ვფიქრობ, რომ ადამიანი რაც შეიძლება შორს უნდა იდგეს პოლიტიკისგან. თუმცა, არის მომენ-



ტები, როცა განზე ვერ განუდგები მოვლენებს და საჭიროა მათ მისცე გარკვეული შეფასება.

– თქვენ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობი ხართ, „ოსკარი“ კი ჯერჯერობით არ გაქვთ...  
 – თვით „ოსკარის“ იდეა არის იმის შესაძლებლობა, რომ მსახიობებმა, რეჟისორებმა განსაჯონ თავიანთი კოლეგები. ამ პრიზის შემოღების შემდეგ ყველაფერი შეიცვალა და უბრალოდ პოლიტიკური თამაში გახდა. პირადად მე არასდროს მსურ-

და მიმელო მონაწილეობა პოლიფუნქციონარის თამაშში, მუდამ ვრჩები დანადგირად.

– ვინ არის თქვენი კერპი კინოში?  
 – მე ვარ აკირა კუროსავას თავყვანისმცემელი – იგი ჩემი ერთადერთი კერპია კინოში. სხვათა შორის, ენახე მის მიერ გადაღებული რუსულ-იაპონური ფილმი „დერსუ უზალა“. მეც მსურს გადავიღო ისეთივე დრამა, როგორც ეს კუროსავამ შეძლო.

– თქვენ ყოველთვის განასახიერებთ დაღუპულ გმირებს. რატომ?  
 – ჩემთვის ეს სულიერად უფრო იოლია – მე ხომ ბუდისტი ვარ. მაგრამ სინამდვილეში, ნებისმიერი რწმენა უწყობს ხელს მწვერვლების დაპყრობას. ეს ხომ ის არის, რაც მინაგანად მოსდგამს ადამიანს, და, საბოლოო ანგარიშით, ეს მარტოა ყოველივე იმის ჩორცხესხმაში, რაც ხორციელდება.

– მაგრამ, თქვენი გმირები ხომ კლავენ...  
 – კინოს იმიტომ უწოდებენ ოცნებების ფაბრიკას, რომ ჩვენ ვფანტავთ იმით, ისევე, როგორც ცხოვრებაში, არის კარგი და ცუდი მხარეები, მეც ვცდილობდი მეთამაშა კარგი და ცუდი გმირები. სწორედ ეს არის მსახიობის ოსტატობა. ხოლო იმას, თუ როგორი ვიყავი ეკრანზე, არანაირი დამოკიდებულება არა აქვს ჩემს რწმენასთან. მე უბრალოდ საარსებო სახსრებს ვმოულობ.

– რა სტადიაშია ამჟამად მუშაობა ჩინეთში მსახიობად?  
 – 17 წელია ვმუშაობ ამ ისტორიაზე და ცხოვრებაში ყველაზე მეტად ჩვენი პროექტის განხორციელება მსურს. წარმოშობით ნაწილობრივ რუსი და ნაწილობრივ – მონღოლი ვარ (სიგალის ამჟამინდელი მეგობარი ქალი, რომელთან ერთადაც ეწვია იგი მოსკოვს, მონღოლია). და, თქვენთვის, ალბათ, ადვილი გასაგები უნდა იყოს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ მე ამას. უკვე მიღწეულია მორიგება

„Worner Bros“-თან. შესაძლოა, პროექტი სამნაწილიანი იყოს. მე მსურს წარმოვაჩინო ობიექტური – რამდენადაც ეს შესაძლებელია – პორტრეტი არაორდინარული ადამიანისა, რომელიც მოქმედებს არაორდინარულ გარემოებაში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მამინ ძალზე „არეული“ დრო იყო, უნდა მოგეკლა სხვა, რათა შენ არ მოეკალით, და მე მინდა უბრალოდ ვუჩვენო ადამიანის ცხოვრების ამსახველი ისტორია იმ მხელბუდობის ვაშლს. რა თქმა უნდა, არ მსურს იგი წარმოვაჩინო წმინდანად, მაგრამ არც დემონად მსურს მისი გამოყვანა...

– ამბობენ, რომ თქვენ იწყებთ მუშაობას ფილმზე „ალფა-3“.  
 – დიახ, ეს ცნობილი ლეგენდაა. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ უახლოესი ორი წელი უკვე შედგენილია მამის დაგეგმილი, ვაპირებ მონაწილეობას ექვს ფილმში, მაგრამ მათგან არც ერთს არ ჰქვია „ალფა-3“. თუმცა, რა თქმა უნდა, თუ რაიმე გამოჩნდება, უარს არ ვიტყვი.

– თქვენ გიყვართ „ქანთრის“ სტილის მუსიკა, უკრავთ გიტარას. რა არის თქვენთვის მუსიკა?  
 – მუსიკა ჩემთვის არის ღმერთების ენა, იგი ყოველად წმინდად მიმჩნია. საერთოდ, ადამიანი ამ ქვეყანას ევლინება სიმღერით. როცა დავიბადე, თურმე ვტიროდი, ვტიროდი – მაშასადამე, ვღმერთობდი. მე მიყვარს სიმღერების შექმნა, დაახლოებით 130 სიმღერის ავტორი ვარ. და ბოლოს მიხვდი, რომ უკვე შემიძლია გამოვიყვანო ალბომი, რასაც ახლა ვაპირებ კიდევ. პოლიუსერებთან მაიღე კერისთან, სე-ლინ დიონთან, ჯენიფერ ლოპესთან ერთად ფირფიცის ჩაწერას ვაპირებ.

– ანუ ცდილობთ საკუთარი ძალები უფრო ფართო ასპარეზზე მოსინჯოთ?  
 – უწინარეს ყოვლისა, მინდა ვქმნიდე ისეთ კინოს, რომელიც გულში ჩაწვდება ადამიანს, აიძულებს მას იტიროს და იცინოს. ეს არის ნებისმიერი რეჟისორის და მსახიობის ამოცანა. მე, რა თქმა უნდა, მსურს გავაფართოვო ჩემი პორტფოლი.

– დაგეგმილი ხომ არ გაქვთ ავტობიოგრაფიული ხასიათის ფილმის გადაღება?  
 – ვფიქრობ, რომ ამის დროც მოვა.

„მოსკოვსკი კომსომოლცის“, 2003 წლის 30 ივნისი.

ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად ათლეტიზმის გაგება. | ნაწილი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის მესამე კურსზე მათემატიკის სპეციალობის ეუფლება წარმომადგენელი სტუდენტი რაბი ნაწილი.

ეს ხდება დილის საათებში, ხოლო ნამუდამდევს მას უკვე სულ სხვა საქმიანობა ელოდება. რეგულარულად, წლიდან წლამდე რატი მშობლიური უმაღლესი სასწავლებლის ათ-

ლეტიზმის დარბაზში ვარჯიშობს, ჯანმრთელობასაც იკავებს და გონებრივი დატვირთვისგანაც ისვენებს.

**ბათუმის რაბი ნაწილი მსსრულებით:**  
**მსრულების და მკერდის კუნთების ვარჯიშები**  
 1. განმკლავი პანგელებით (სურ. 1). ათ-

ლეტი ერთმანეთთან შეხებაზე უშვებს პანგელებს ძირს, შემდეგ ისევ წევს მემოთ განმკლავით. სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.

2. იგივე ვარჯიში ტრენაჟორის ბლოკებით (სურ. 2). ათლეტი ერთმანეთთან შეხებაზე ექაჩება ბლოკების სახელურებს, შემდეგ ისევ უბრუნდება განმკლავს. სრულდება 6 მისვლა 12-12 გამეორებით.

3. ტრენაჟორის სახელურების ერთმანეთთან შეხებაზე მომიდგა (სურ. 3). სრულდება 8 მისვლა 12-12 გამეორებით.

4. ტრენაჟორის სახელურების აჭიმვა განიერ ჭიდიტ (სურ. 4). სრულდება 6 მისვლა 8-8 გამეორებით.

**უზრავთ შავმანქანაში.**  
 თეიმონ ნიკოლაიშვილის ფოტო.



დავით ტაძიკა — 50

... პომეხს 50 წელი შეუსრულდა, — ამბობენ, ეს შუა გზაა...
დავით ტაძიკის ბიოგრაფიული წიგნი 1981 წელს გამოვიდა — მას „ნიმდელი“ ერქვა.

დავით ტაძიკე აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა — სხვადასხვა წლებში იყო საქართველოს მწერალთა კავშირისა და რუსთაველის საზოგადოების გამგეობის წევრი.

ზოგჯერ ბრალდება ეხება და გამოაქვეყნა რამდენიმე ნაწარმოები. ამჟამად იგი მუშაობს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ლიტერატურულ და მეცნიერულ ურთიერთობების სელმძღვანელად. მისი ლექსები რუსულად არის თარგმნილი.

გთავაზობთ ბიოგრაფიას ახალ ლექსებს.

ნანა ღვინჯიანი

პოეზია უპირველეს ყოვლისა

ახალი რვეულიდან

პაატა ბურჭულაძის

ივრის ცა უსმენს ქორაღს ტანების,
ამ ჰანგს უგზო ხიმს სომ ვერ

ანინადრებულ ვრცელ დარბაზებში,
სემი სამშობლო სმია, პაატა!

და მგლოვიან კლავიშებს ალბათ,
სწირდებამ პაატა ბურჭულაძის,
ეს გალობაა სიონის კართან
თუ ფლორენციის თაღებზე მღერი.

მუსიკა — როგორც ხულის საგზადი
სამეზარს თქნეს ოდესმე ისინი,
და გოდუნოვის დარღ-რეკვიემში
დაჭრილი ღომის გოდებად ისინი.

უნადგვლენ მენი ციური ბანი,
მიწას მოსთივლენ ცრემლ-მწიქარ
რუკებარ,
ზედასწინ ველზე მწიქლარე ნისლს თუ,
სეფს სულს განისხულს მამულუკებად.

გადაკტიონის მღვდლარებს ასლა,
ნანგი მთროღლარე ქართვლის
სერობი,
რომ მართლად „იქნებ მღვრინს
ანსად“,

როგორც ამ დღითურ საქართველოში.

(ვაჟას მონოლოგი)

გაგვიფრდამდა სიცილიც,
სეტყი, ეზი ბრალია,
ცოლ-შვილ მშობრი დაბვიდის
ღამის დაგვიტყვენ ბანი.

ნრდილქვე კოტრიალს ვუნდოვართ,
ნამოკვანაგდა სმადია,
მოკვარეს მტრებად ვივიდებთ,
მტრისა გვეტყება ვალი.

ენასა ვაქვეთ უქმად,
ვრატრატებ როგორც წვლია.
სემ ცოლგა მისცენ იმასა
ენის სამშობლო არი...

ამ გორის იქით სეგია,
სეგადამა კიდევ მდინარე,
მთაშუა ნახეთქბული
ანუერთბული, შვირადღე,
ამ გორის იქით წვარო დის,
მიწე, რისთვისდა მამადღე.

ვუაილო, დანსმრებულყო,
სოფლის მინდვრისა ვუაილო,
სემსე წვენსა და ნივილი,
გულში წაით არ გაივლო.

დასიმრებულდ რომ ივოს
ეს უნაზენი სეგები,
გულო, დანსნი და დოკრი,
რა დობე-კორეს ვეგები,
გმადლობთ, უფალო, ამ ციქქვე
მენი წვალობით ვებრებები...

შენ გიმტკბენენ დუმილის შხაით,
რომ მოკვანი სნობების ქოროს,
სხეებს სანსლეთა ებობათ დიბა,
შენ გათაშილი დილგა სორო.

და როგორ თქვა უსახურებად,
ზედა, რომელიც შენ ასე გწამდა,
შემა, რომელიც თავიანს უგებდი,

შემა, რომელიც ანგელოსს ჰგავდა.
დაბადეს შენი ვოკალი სტროფი,
ატრებად და სეიტრინებარ,
დაინაწილეს სხვისთვის ურგები,
სეივნი მადული შენი ქონება.

შენ გიმტკბენენ დუმილის შხაით,
რომ მოკვანი სნობების ქოროს,
სხეებს სანსლეთა ებობათ დიბა,
შენ გათაშილი დილგა სორო...

ენის ბოლოს ივლებთან,
დამედვენს მეფარები,
თითქოს ღამის ქურდი ვიყო,
შველ ნაღიან ვეფარები.

სინაეს სოფელს, ვრუ წაქვაცაი,
ტკბილ ნანინად ვერება;
ბუნრებიდან სქელი კვამლი
თბილ სანსებარ ვსურება.

ვეღარ მცნობენ რა ხანია,
თსმელები და ბილიკები,
ქადაქადაბას დამცინიან,
კბილნოდერა ქილიკები.

სისარულიც არის, მარა
უფრო დიდი არის დარდი,
მთავარ მიწვეს მეტ სურობას,
ეს ბებური დარდიმანდი.

ისევ შეგვიდით საფენგო,
ზღაბრებო და არაკებო,
სინსარშიაღ საფერებო;
სემი სოფლის ჭადაკებო.

გაუმედი თითქოს, წამართვა მადი,
გული საგულეს ამოვიარდა,
სხვა არაფერი, შემოამყვად წაით,
ქადა, რომელიც ვრთ დროს მიფარდა.

რაც განსევდი არსებობდა
წარსულში დარბა,
ჰევეა და ჰევეა სარეკება,
შველ ვამს ისხენებს,

გადჭრილ მორზე ვრთამოკვივით
დავუბა ვანსა,
თითქოს მოსუფი მამანევი
ლოღზე ისევენებს...

სიკვილი უნდა კარნაუალს ჰგავდეს,
სიცილიც უნდა ჰგავდეს გაფრანას,
ლექსი — ირმების სმამადღ ვვირინს,
ქადა — ნისლები მოღზე დაფანს.

წვიმის სქელ თქვეში თუ ვილუქმები,
ენება უფროდ არ დიურება,
გადას არ ივოს, ისე მწერება,
ტანში ცვენლივით მიტანს სურება.

მე ხული ხემი ლექსში ვივლქვე;
შუქლქვაელი სომ მინც შევექვე,
ვაი მას, ვინაც ისე წაივდა,
ვერ გაისედა სეფისკენ ვრთველ.

ხულ გუთან-კავებებულყო,
ბედთან ნანარმოლო სარო,
ამ ცვლ-მწერად წუთისოფელში
რა უბედური სარო.

გულმრუდი კადი
კაბინეტში მივინის ტკბილად,



დავით ტაძიკა

გარეთ მზეა და უსაშველოდ
საყვარლად თბილა.
სახე კი არა, მზერა იგი
ბელსებლის ღანდის, —
თითქოსდა ვინცის ღოდუები
სხეულში სმადის...

ცა მიწად გექცა და მიწა სეცად
მთა თოვლის გუნდად გეფუქება სეცადი,
როგორც კომპარულ სინსარში ვემა,
ისე შემოდის სარბანა შენი.

მუდამ მართალი რწებოდი სხეულთან,
მუდამ ცოდვილი, უფაღთან, სარბანა,
მე შიშით გიმწერ, როცა ღოდულო,
მარწმუნებავით აღსავლის კართან.

მთებმა, სიცილიც მეფარებმა,
ვეგრებოთ აზურეს თვადება,
ცრემლ-მოთქმა დანცეს სარბანა,
ცინეს შესწესო კარები.

ვაი, რომ კვლავც დამე,
მკლავებ გვიტყვი ადარი,
მტრსანობად გულზე მწარეა,
ცინეს შიგნიდან გამტკბარი...

ვაი დიდგა ფიტრულები
დაბილი ტიტრულები,
მე რომ მარჯვნივ ვცვენებდი,
შენ ხულ სხვა გზით იურება.

დაღვრვილი გვიტყვიან,
კბილნოდერა რიკულბი...
ასხენი სუფი გადამადულ ქველ
სინსარებს ვრთილად,
იქ, დედანემო, სემს დაკონილ ბაგუბობას
სინსარე;
იქ, ჭალები და ენებია თვადით
სეფენი,
იქ, ცინფერ მოღზე დაბაღასობს
თვარი დრუბენი.

მთებია შორი, მთებია ისე მიწიდან
იქ, შეიძლება ვრთეს ნარტი ანგელოსს
...ასხენი სუფი გადამადულ ქველ
სინსარებს ვრთილად...

ფარსია ეს დღე;
რის დიდგანსაც ანირებს იგი,
შენ სტარტი სარ
და ამავთ შენივე სეფერი;
და პარტყრიდან მოკურად
მანისი ქირქილს,
მუნანთური სიყვარავით
გომსადებს ბედი.

ფარსია ეს დღე;
უსმოდ გოდებ,
უსმოდ ივინი,
და კულისებშიც
უსმოდ დგანარ,
წლები კი მიდის.
და ისე უცქერ ბაგირებით
ამართულ ფარდას,
ვით თერმომეტრში სინსანგან
აქველ სინდივს.

გაუაღებს იგი,
იყო ფილიდი, იყო მართალი,
იყო რეკვინი, იყო შუთი
და იყო ბრქენი,
და სოკურ მიღმი
თუ გავირებს, რა სმია, იგი? —
რაც სმადელია შენია და
არაა შენი...

ლიტერატურული ციკლი

აკაკი ხინთიბიძე

„ღიბსებათ ლუსუმსა“

პარმონელებს გულსგულში აქვთ
სიკეთე. ამბე ჩვენი ღვესიკაც მი-
უთითებს. ბურახელი ვარაიციები-
თაა სიყვები: სიკეთე, გული,
გრძობა. „უგულო კაცი ვერ კა-
ცობს“, — გემოდვარავს რუსთველი.

„სიკეთისთვის სიკეთეს არაფის და-
წვავიანებ“, — გვეუბნება ვაჟა.
გველიც კი, „ადამის მოდგმის მტე-
რი“, ხალხს ფუბის ანგელოზად ჰყავს
დასასხული.

კახეთის ერთ სოფელში მომხდარა
— გველი შეეჩვია სამმარეულოს...
ღიბსახლისი პურის ნაფცქვენებს უყ-
რია. ოჯახში ახლად შემოსულმა
რბალმა სამმარეულო დაგაბა. გველს
საჭმელი აღარ დახვდა. ღიბსახლისმა
ისევე დაუყარა პურის ნაფცქვენები.

შემოვიდა გველი. მიხვდა ყოველივეს
და მის მიერ დაშხამული ჯამ-ჭურ-
ველი, რომელშიაც ადამიანის საკ-
ვეთი ოლო, კუდით დაამტკვრია.
„გველიც არ ჰკბენსო გუთისღე-
დას“, — იტყვიან ხალხში.

გველის თემამე ბუერი თხმულება
დაწვრილა. ვაჟას „ბახტრიონს“ გა-
მოეჩვენა: „მტრისაღც დედასა გვე-
ლი ჰკბენს და ჩაუძვრება უბედა,
გმირთა აღმრდელთა ძუძუებს გა-
იხდის თავის ბუდედა“.

„ბახტრიონის“ გმირებში ვაჟა
განსაკუთრებით გამოჰყოფს მეზ-
ვას და ლუსუმს. „მეზვამ საოცარ-
ია“, ლუსუმი — „ომში ცხარია“.
ორივე თანაბრად უყვარს. ექსპ-
რესიულადაა დახატული მათი შე-
მართების სურათი: „მიჰკივის თათ-
რებს მეზვამ, შეუპოვარი, მალია...
შეწოდა, მშობამ, ვაჟკაცსა დამარ-
ნიშული ხმალა“. „ლუსუმმა თო-
ფი გამაპკრა, არ აუფეთქდა ფა-
ლია, დრომას მიუძღვის ლომივით,
ამბიწვად სხამდა, შამუქახა ღამ-
ქარსა“ და ა. შ.

ამავე დროს, მეზვა და ლუსუმი
ორი განსხვავებული ხასიათია. მეზ-
ვა უღმობელია, ლუსუმი — გულ-
მომწყალები. „თუ გახსონს, ერთ ლექს
ხმლითა ვეც, ჰიმაღ მოვწყვიტე თა-
ვი“, — მოაგონებს მეზვა ლუსუმს,
— „თავი გაგორდა მიწამე, გრემბ
დაუწყო კაპუნი... შენ შაგებრალა
ურჯულო, მოგიწყლიანდა თვალბი...
მე არ მებრავის, ლუსუმო, მო-
უნათლაგი აროდის“.

„ვისაც ჩვენ არ ვებრავლებით, ჩვენ
შავებრავლოთ რისადა“, ათქმევი-
ნებს ვაჟა მეზვას და ამ შემთხვე-
ვაში ორივე გმირი ერთადაა.
ვაჟა ხშირად შეგვახსენებს ლუ-
სუმის კეთილ ხასიათს.

„ლაშქარი კვირიას მოწყენის მი-
მებს ეკითხება. იგი გაჩრებულია.
არც არავინ იღებს სმას. „იქნება
ცუდ სიმმარ მნახე, გულზე დაგაწვა
ისაო? შაჰკითხა ბერმა ლუსუმმა,
ვადა უტაცა ხმლისაო“. „ვადა უტაცა
ხმლისაო“, — განსაკუთრებული
მრუნვის გამომხატველი მოქმედება.

მართლაც, ცუდი სიმმარი ნახა
კვირიამ. „ეწვიინა ლუსუმს სიმმარ-
ი, ცრემლები მოსდის წყვილადა,
— კეთილად ახდეს, მაინც თქვა. გუ-
ლანუყვებით, რბილადა“.

„როცა ლაშქარი კვირიას დაღაგ-
მე აიღებს ეჭვს, ლუსუმი შე-
მოუბახებს: „რად ჰკრებთ დიაცებრ
ჭორებსა... რად არ გახსენდებთ,
ბოიყვებო, ჩვენის სამშობლოს გო-
რებსა“. ჩინებული პოეტური არგუ-
მენტაციაა.

პოემაში ვრცელი პასაჟია უგრძ-
ობლობის თემამე: „მკვდარია, უგრ-
ძობი კაცი, უსამარლესი მკვდარ-
მედა... ისე მოკვდება, ვერ შედგეს
ერთ წამს გრფობისა მთამედა. სა-
მარელია დადგომა უგრძობელო-
ბის გზამედა“.

ომი განაღდა. ერთიანად გაქლი-
გეს მტერი. რა დაუდგებოდა სამ-
შობლოს სიყვარულით ანთებულ
ლაშქარს, როცა ყოველი მხედრის
გულში ხალხური ღვესი ხმაურობ-
და: „ფეხს დავეკრავ, გადავფრინ-
დები ბახტრიონ გაღავანედა“.

მეზვა ბრძოლის ველზე დაეცა.
ლუსუმი მოიკითხეს, — მეზვას დაჭ-
რა ეწყინაო. მერე კი მისი ვერა-
ფერი გაიგეს.

ვაჟა სასიკვდილოდ ვერ იმეტებს
ლუსუმს. იგი უდაბურ გყვში დაჭ-
რილი წვეს. გველი გაიგვრებს მის
კენსას. „ღიბსახლისი განის გლარ-
მვით“ დაადგება თავმე. „გველს
შავებრალა ლუსუმი... ბორბების
გმა გაუშვავ, კეთილი დაუჭერია“.

წყელს ულოკავს, წყალს ასმევს,
საჭმელს უმიდავს. „ღამდამ მლა-
პარსაც უამბობს ორის ობოლის
მმისასა... „ამბობენ: შამბლებინა
სნეულსო ფეხზე დადგომა“.

ვაჟა ივრინებს: „ერთი უსწაველი
ფმადელი მეკითხებოდა: ვაჟავ, თუ
ღმერთი გწამს, ნუ დამიმაღავ, სწო-
რედა თქვი, საქართველოს თავი-
სუფლებას არ გულისხმობ, „ბახ-
ტრიონში“ რომ ამბობ: „ღიბსე-
ბაო ლუსუმსა ღამარის გორზე შა-
დგომა? — იქნებ ვგულისხმობდე, — ვუ-
პასუხე...“

კალამი დავე, თითქოსდა, ვთქვი
სათქმელი. მაგრამ რაღაც უკმა-
ყოფილობის გრძობა დამრჩა; ო-
რეკვი ნაწარმოებზე საუბრისას არა-
სოდეს პოეტიკის გვერდს არ ვუვლი.

...ამ დროს ქუჩიდან ჩორქოლი შე-
მომესმა და გართიული ფრამა გე-
ვარჩიე: აქციათ და ფრამიამ ქვე-
ყანა დააქცია. მენიშნა. ვაჟამ და,
იგულისხმება, თვით გველმა ხომ
სიკეთის გამო დაინდო ლუსუმი?

უნდა დაგვაფიქროს ასე ღამამად
ნათქვამმა ამბავმა.
ნუ გავბოროტდებით, ხალხო! გა-
ბოროტებული კაცი საღად ვერ ამ-
როვნებს. სიკეთის გმას ნუ დავაგ-
დებთ! გავისხენოთ: ვაჟამ კლდეს
ათქმევინა: „გვიყვარდეთ, კაცო ერთ-
თმანეთი“!

გველის სიბრძნე უცყუარია. „მეც-
ნიერ, ვითარცა გველი“, ვკითხუ-
ლოთ სახარებაში.
ნამდვილად ეღიბება ლუსუმსა
ღამარის გორზე შადგომა!

პარმონე, ფასანაური ყოფნისას,
იქაურ მოხუცებს გავესაუბრე. მითხ-
რეს: მთიულეებს ვაჟა არ უყვარ-
დათო, — გაკვირვებით შეგხედა. —
როცა „ბახტრიონის“ დაწერას ამი-
რებდა, მთიულეებისთვის შემოუთ-
ვლია: ამდენ და ამდენ ცხვარ-
ძობობას თუ მომცემთ, ბახტრიონ-
ის ციხის ადებამი მთიულეებსაც
მივაღებინებ მონაწილეობასო.

მთიულეებს ჯვარი ეწერათ და
ვაჟა ისტორიულ ქრონიკას კი არ
წერდა, ღმერთი იყო და თუნდ აფ-
რიკელებს წამოიყვანდა.
ღეგენდად დარჩენს!..



აკაკი ხინთიბიძე



აზერ-ჩირაბ-ბიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის სამსპორტო მილსადენის პროექტი პროექტის დოკუმენტაციის სამართაშორისო საჯარო განხილვის პროცესი

აზერ-ჩირაბ-ბიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი გულისხმობს კასპიის ზღვის საბადოების ათვისებას, აზერბაიჯანის სანაპირო ზოლში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტი მიზნად ისახავს 1760 კმ სიგრძის მილსადენის მშენებლობას, რომელიც მოხდება ყოველდღიურად ერთ მილიონ ბარელამდე ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება აზერბაიჯანიდან, საქართველოს გავლით, თურქეთის მიმართულებით, საიდანაც ნავთობი შემდეგ მიეწოდება მსოფლიო ბაზრებს, და რომლის ამოქმედება 2005 წლიდან არის დაგეგმილი. ამ პროექტებში განხორციელებული ინვესტიციები ჯამში 10 მილიარდამდე აშშ დოლარს მიაღწევს, რაც მათ შორის მოიცავს 3,2 მილიარდ აშშ დოლარს აზერ-ჩირაბ-ბიუნეშლის I ფაზის განვითარებისათვის და 2,95 მილიარდ აშშ დოლარს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენისათვის. ორივე პროექტს წარმართავს კომპანია „BP“, თითოეული ამ პროექტის საერთაშორისო ინვესტორთა ჯგუფების სახელით.

ერთობლივი მანდატის ფარგლებში, „საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია“ (IFC) მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, რომელიც ახორციელებს ინვესტიციებს კერძო სექტორში და „ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი“ (EBRD) ამჟამად განიხილავენ თითოეული 100 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის საკითხს აზერ-ჩირაბ-ბიუნეშლის საბადოების ათვისების I ფაზის პროექტისათვის და თითოეული დამატებით 150 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის დაფინანსების მიზნით.

პროექტების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტრაქტში, რომელიც გულისხმობს პროექტების მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპების რეალიზაციას გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროებისადმი საპასუხისმგებლო დამოკიდებულების პირობებში, პროექტებმა მიმართეს უპრეცედენტო ნაბიჯებს – გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამჭვირვალების და საზოგადოების მონაწილეობის დონის ამაღლების მიზნით, რაც, მათ შორის, მოიცავდა გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხებზე ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი კონსულტაციების და საჯარო განხილვების ორგანიზებას, გასული ორი წლის განმავლობაში. პროექტების ტერიტორიის მფლობელ სამივე ქვეყანაში მოეწყო „ბუნებრივი და სოციალური გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ანგარიშების საჯარო განხილვა და ეს დოკუმენტები ფართო საზოგადოების შესწავლის საგანი გახდა, რასაც 2002 წელს მოჰყვა დოკუმენტების დამტკიცება ქვეყნების მთავრობების მიერ.

ქვეყნების ტერიტორიაზე პროექტების ზემოქმედების არეალში მოქცეულ მოსახლეობასთან, პროექტების ქვეყნების ხელისუფ-

ლების ორგანოებთან და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონსულტაციების გარდა, ზოგიერთი საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტების მოთხოვნით, რომელიც პროექტის დაფინანსების შესაძლებლობას განიხილავს, უნდა მომზადდეს და საჯარო განხილვას დაექვემდებაროს „გარემოსდაცვითი შეფასების“ დოკუმენტაცია, რაც უზრუნველყოფს ამავე ინსტიტუტების და ორგანიზაციების შესაბამისი პოლიტიკის წესების და სახელმძღვანელო პრინციპების შესრულებას. ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე, შეიქმნა დიდი მოცულობით დამატებითი დოკუმენტაციის მომზადების აუცილებლობა, რომელიც გაერთიანდა დოკუმენტების ამ პაკეტში, რომელიც ამჟამად არის წარმოდგენილი საჯარო განხილვისათვის.

წინამდებარე განცხადებით იხსნება საჯარო განხილვის 120-დღიანი პერიოდი (2003 წლის 12 ივნისიდან), რომელიც წინ უბღვთ პროექტის დაფინანსების საკითხის განხილვას „საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის“ და „ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის“ მიერ. ეს ორგანიზაციები მიესალმებიან შენიშვნების და მოსაზრებების მიღებას საზოგადოების წევრების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ჯგუფების და სხვა დაინტერესებული მხარეებისაგან.

ფართო საზოგადოებას შეუძლია გაეცნოს საჯარო განხილვის მასალებს ინტერნეტ-გვერდზე, რომლის მისამართია [www.caspiantradeexport.com](http://www.caspiantradeexport.com) ან მსოფლიო ბანკის „Infoshop“-ში (701 18<sup>th</sup> Street, N.W., Washington D.C., U.S.A.) და EBRD –ს საინფორმაციო ბიზნესცენტრში (One Exchange Square London სამუშაო საათებში).

აზერ-ჩირაბ-ბიუნეშლის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტების დოკუმენტაციის ასლების გაცნობა შესაძლებელია აგრეთვე ქვემოთ მითითებულ მისამართებზე: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ოფისი, საბურთალოს ქ. 38, თბილისი, ტელ: 59-34-00.

რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი კავკასიისათვის – ჭავჭავაძის პრ. 74, ოთახი 901, თბილისი.

ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში – გუდიაშვილის ქ. 7, თბილისი.

რუსეთის მერიის – კოსტავას ქ. 20, რუსთავი.

ახალციხის მერიის – კოსტავას ქ. 18, ახალციხე.

შეკითხვები და კომენტარები უნდა მიეწოდოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის თბილისის ოფისს ან გაეგზავნოს „საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია“ და „ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი“ მათი ინტერნეტ-მისამართების მეშვეობით ([www.ifc.org](http://www.ifc.org) or [www.ebrd.com](http://www.ebrd.com)).

წიგნის თარო  
ახალგაზრდა დიასახლისებისათვის და აწი მარტო მათთვის

ამასწინააღმდეგე წიგნის ბაზრობაზე გადაეწვი და თუმცა მოგვიანებით, მაგრამ მაინც დაერწმუნდი, თუ რა დიდებული საქმე გააკეთა გაბრუნებული სახლის მფლობელი „დედა“, როცა წიგნი „რჩევები ახალგაზრდა დიასახლისს“ არცთუ დიდ ბიუჯეტში (1000) და არც ძვირადღირებული, ეს სასარგებლო რჩევა-დარიგებები კრებული, ვფიქრობთ, კარგ დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ ოჯახის უღელში „ახლადმებრუნებულ“ ახალგაზრდაებს, არამედ საოჯახო საქმეებში, პირველ რიგში, ქართულ სამზარეულოში უკვე დაბრუნებულ ქალბატონებსაც. ყოველ შემთხვევაში, ასე მითხრა ჩემმა ერთმა ნაცნობმა ახალგაზრდა დიასახლისმა – დედამამამ არ დაშავდა, თვითონ დაიწყო ამ წიგნის კითხვა და იქ ამოკითხული რჩევები აქეთ შემომიბრუნაო.

როგორც თავად წიგნის შემდგენელნიც გვეუბნებიან (სამწუხაროდ, არ ჩანს, თუ ვინ გაისარჯა მისი შექმნილი სახელი), „ბევრი საინტერესო და მოგვიწონი მოულოდნელი მეთოდი არსებობს კერძის მომზადებისა. ამის ცოდნა, ალბათ, ყველა დიასახლისს გამოადგება“.

სწორედ, რომ აქ ამოკითხული რჩევები ნამდვილად დაეხმარება დიასახლისს, სწორედ წარმართის საოჯახო საქმიანობა, შეარჩიოს პროდუქტების მომზადების, შენახვის თუ დამუშავების მისთვის ხელსაყრელი მეთოდები, რაც მთავარია, სწრაფად და გემრიელად მოამზადოს ესა თუ ის კერძი. ალბათ, თავადაც დარწმუნდებით ამ რჩევების სარგებლობაში, თუ წიგნის სარჩევის მცირეოდენ ამონარდს გაეცნობით: „როგორი ჭურჭელი გამოვიყენოთ“, „როგორ მოვაცილოთ ჭურჭელს უსიამოვნო სუნი“, „პროდუქტების შენახვა, დამუშავება და მომზადება“, „როგორ გავაუმჯობესოთ პროდუქტების ხარისხი“ და, თუ ყოველივე ამას დაემატებთ, რომ ცალკე თავები აქვს მიძღვნილი რძისა და რძის პროდუქტების, ხორცის, კვერცხის, თევზის, ბოსტნეულის, ფქვილის ნაწარმის, ჩაის, კაკოს, ყავის და ა. შ. მომზადებისა და მართების წესებსაც, ვფიქრობთ, მეტი კომენტარის საჭირო აღარ იქნება.

დანიარჩენი კი ისევ თქვენმა დამოკიდებულმა, ჩვენი ძვირფასო დიასახლისებო!

ვალიკო სიმონიშვილი.



ნარკვევი  
აჭყვისთავი

სულიკო რომანაძე და რემო ხაბაძე გადასაგდებ ავტომანქანას ისე შეაკეთებენ, ქარხნიდან ახალგაზრდასა და გვერდობაში. რადიოელექტრონიკის სპეციალისტია ფიზიკის მასწავლებელი ამირან რომანაძე, ქვისა და ხის სახლების ცნობილი ოსტატებია ილია და მისი ვაჟები, თამაზ რომანაძე... დიდოსტატურად ამხნებენ სხვებიც. აჭყვისთავში ყველა სახლი იქაური ოსტატების აშენებულია. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არქიტექტურის თავეტის, პროფესორ დავით კომახიძის რთული საოსტატო საქმე თუ გამოუჩნდა, მოხელეები აქედან მიაყვას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა სახლი იქ, თანასოფელ ოსტატებს ააშენებინა, მათზე ლამაზად ვერაფერ დადგამსო.

აჭყვისთავში ყაჭის პარკიდან აბრეშუმის ძაფის გამოყვანი სპეციალისტებიც არიან – საღებავის დამზადებაც იცის, ნაცრისძალის გაკეთებაც ყველა ქალს ესწავება. ლამაზი გოდრებისა თუ გილდების მოქსოვა-მოწვნა იცის თხილის ხის ტექნიკაგან. აჭყვისთავში სახერხი საამქროც აქვთ, პურიც ხევენ, სამკერვალოც არის, საპირიკმახეროც და ფეხსაცმლის სახელოსნოც, საფერწლო პუნქტი, მაღაზია, ყოველდღე დალის ავტობუსი...

ასეთი ლექსიც გამოგონია. „...ნილო მუჰაჯირად მიდის, ჭახათს ატკივდა მუცელი, აჭყვისთავი მაშინ წავა, წყავს რომ გასცივდა ფურცელი...“ აჭყვისთაველი პოეტის ხუსეინ ხაბაძის ნათქვამია, ამ კაცმა დაწერა პირველი წიგნი მუსულმანურ საქართველოში... ავტორია დასურათხატული ქართული ანბანისა, სურდა, ყველას მშობლიური წერა-კითხვა ესწავლა. არა, მუჰაჯირად აქედან არავინ წასულა. აჭყვისთაველი ხუსეინ ხაბაძე, კინგრიმის ხეობის მამასახლისი უსუფ კომახიძე (სამამასახლისო აჭყვისთავში იყო) და ჩაქვიდან ხუსეინ ბეგ ბეგინი მუჰაჯირობის საწინააღმდეგოდ დადგნენ. არა, აჭარა არ უნდა დაცარიელებულიყო! ხუსეინ ხაბაძეს სწვევია ცნობილი მაქარა ჭიჭინაძე. მისი წიგნიც გამოუცია 1913 წელს. ამ პაგარა სოფელს საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული კავშირის სახით ეროვნული კავშირის სახით ეწოდა, რამდენიმე აკადემიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი... ასეთია აჭყვისთავი, ეს პაგარა, ციფქა სოფელი.

ზაბდრო რომანაძე. ქ. ბათუმი.

ალიართალი — ბალიართალი

თითი — ფლაგში

ჩემი სუფრამე გვერდით ჩემი ხნის მამაკაცი მომიჯდა. ღვინის დასხმა დაეპირე. ჭიქა გვერდზე გასწია და შეხვეული თითი მიჩვენა, წავიჭერი, დალევა არ შეიძლებაო.

ძმარი

მამაღამ საღვთობის წარმოქმნა და ჭიქა გამოცდა. დაიჭყანა, ეცყოლა, ღვინო არ მოჭყანა. მესამე ჭიქამდე გაუძლო, მერე დასახლხის მოიხმო და რაღაც უთხრა.

ლაგაზიძე

სადა ცხოვრობს?

სოფელი ალვანი ნახვისთანავე ძალიან მომეწონა. მომეწონა დაგეგმარებით, ფართო, სწორი ქუჩებით, რომლებიც ერთმანეთს კვეთდნენ და სოფლის გაღმა-გამოღმა მიემართებოდნენ.

მაგრამ, თურმე, ყველაზე იდეალურსაც აქვს თავისი მინუსი: ნუნუგადაკრულ ბევრ თუმს უჭირდა საკუთარი საცხოვრისის მიგნება, რადგანაც ქუჩებიც და სახლებიც სულ ერთმანეთის გაღანაჭერი იყო.

დამთვრალა, ერთხელაც, ლაგაზიძე და პირველივე შემხვედრს აჩერებს:

— ლაგაზიძე სადა ცხოვრობს? უყურებს გაოცებული შემხვედრი, უყურებს და ეკითხება:

— შენ თვითონ ლაგაზიძე არა ხარ?

— კაცო, იმას როდი გეკითხები, მე ვინა ვარ! მე გეკითხები, ლაგაზიძე სადა ცხოვრობს-მეთქი! — გაჯავრდა ლაგაზიძე და არეული ნაბიჯებით გაშორდა.

მიშველა!

რაღასაც ვწერ ერთ ჩია, გალერულ კაცზე. საფრთხობელას რომ შემოსავენ, განსაცემელი სწორედ ისე ადგა განზე. თვალწინ მიგრილაღებს, მაგრამ შესაფერისი ფერ-უმარლის მოძებნა მაინც მიჭირს — დაე, როგორსაც მე ვხედავ, მკითხველმაც ისეთი დაინახოს! რაღაც ერთმანეთს მაინც ვერ ეწყობა, რადგან ისე არ გამოდის. ნეტავ, ჩემი ენავემბატი სოფელი როგორ მოიქცეოდა? იქ ხომ სულ მშობით ლაპარაკობენ!

და უეცრად გონება გამინათდა. გამახსენდა, რომ ერთხელ კრუხი-პალომ როგორ იხუმრა სწორედ ისეთ „საფრთხობელაზე“:

— ნახე, ნახე, მშვენიერად თოხის ტარით არ არის გამამშრალი?

რომ დავეკვირდი, ცამდე მართალი იყო. საიდან მოიგანა ასეთი მუსტი შედარება?

თუმცა, რა არის გასაკვირი, ხალ-

ხური სიბრძნე ხომ ამოუწურავია? საკმარისია ყური ფხიზლად გვეჭიროს, ხელი მაგრად ჩაავლო და მორგებულად გამოიყენო!

მაწონი შესჯავრდა

— სვლენიანსამის წუნკალი უსწავლებია, თუ გინდა, გაბმულ სმაში ღვინო კარგად აიტანო, მაწონი უნდა დალიო. ერთხელაც, თურმე, ჩვენი სვლენიან ქორწილში თამადად მიიწვიეს. დასახლხის წინასწარ გაუფრთხილებია, რო დატიახებ, მაწონი მამომიგანეო. ღვინო უკვე ყელში უყიპყიპებდა. იფიქრა, ეხლა კი ღვინო და დაიძახა:

— დარო, ჩვენ რო ვიცით, ის მაიგანე! დარომაც არ ალოდინა. მაიყუდა სვლენიან და ქილაი ძირი გამაჩინინა. ხუთ წუთსაც არ გაველო, სუფრა ნაჭამ-ნახვამით გადააფერადა... იმი მეგრე მაწონ ალარ ეკარება...

სასჯელი

— მისულა, გოგო, ერთხელ მაგის მთვრალი ძმარი ეკლესიაში და სანთლის ალზე სიგარეტისთვის მოუკიდებია. მღვდელს შეუწურია და დაუწყველია... ჯერ იყო და ქმარმა ლესა



ციხე, — იცი, რამეც, ეხლა კიდევ მას მესამედ მოსწყდა მუცელი...

ზუთნიც

უენი იყოს, ნიზილაღაც!

— ძამომის კისერი გადავიღე — მიყვარს! — კაი გრძელი კისერი იყო, მთელი საღამო მეყოფოდა თავმესაქცევად. თამადა ჩემთან გადმოვიდა ალავერდს. ჭიქას ხელი დაეხვედა და წამოვდექი. მაგრამ გაეახურე, იგრე გაეახურე, თამადამ ერთი ორჯერ შემომიბღვირა. დაელო! დაეჯექი და... საღამო ჩემი კისერი! ვეძებ, ვეძებ, ხან აქეთ ვიყურები, ხან იქით. მამაკაცი ჩუმიად ხეივანივით.

— რას ეძებ? — ისე მკითხება, ვითომ ბაბიურში არ არის.

— კისერი რა იქნა?

— შე კაი კაცო, აბე მუთხი, ხიზილაღა, ხაშლაღა! რა კისერი ავიტყვავ? ელაპარაკე ახლა ამას! რა ჩემ ფეხებზე მინდა მუთხი და ხიზილაღა! მე ქათმის კისერი მინდა, მორჩა და გათავდა!

არსენა

სუშრას ხუთი ვუვივართ, საღ იყო და საღ არა, ალიხანა გამოგვეჩინათა. ის ამ ოჯახში შინაურივით არის. დასახლხის უკვე მოაქვს თუფი, ჭიქა და დანა-ჩანგალი.

ალიხანა ცოცხად დარაფეთია. არსენას ლექსი იცის, ისიც რამდენიმე სტროფი. ნუნუა გვინში რომ შეუღიგინებს, მაშინვე წამოიწყებს.

„შაირ სიგყვით მესტვირემ, ღმერთი მაღალი ახსენა“

და არეულ-დარეულად მყვება არსენას საგმირო ამბავს. ბოლოს დასრულებს დაამბავს:

— აბა, საღა არიან თქვენი მშვენიერები? აღარ არიან!

— იქვე მასპინძლის ხუთი ოღე წლის შევიღივებო და განგალებს. ცოცხა ხნით გაუჩინარდა, მერე ჯოხის ცხენზე ამხედრებული ჯოხისავე ხმლის ტრიალით შემოგვეჭრა და დაგვეწყვილა:

— არსენაა ვარ, არსენა!



სათადარიგო ბორბალი

მეჩქარება, მეჩქარება! ბარჯისხევეს გამოცედი თუ არა, გმის პირზე გაჩრებული „მოსკვირის“ პატრონმა ხელი ამიწია. მოშორებით, მგვერდში, ბავშვები იქექებოდნენ. იქვე ქალი უხერხულად აგმულიყო.

მანქანა გაეჩქარე.

— თუ ძმა ხარ, საბურავი მათხოვე, პირველივე სახელოსნოსთან დაგიბრუნებ...

მეც ძველი სათადარიგო ბორბალი მაქვს. ყოველივე შემთხვევისთვის მიგდია საბარგულში, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, კაცს გაჭირვებიდან ამოიყვანს.

— ამის მეტი არა მაქვს...

— პოდა, აქ არა ვართ? უკან გამომყვით და...

ჩავსხელით ჩვენ ჩვენს მანქანებში. იმან მაშინვე დაქოქა, მე — ვერა, „მოსკვირი“ კი თანდათან მოშორდებოდა.

როდის-როდის ავამუშავე მოტორი. თბილისში ისე ჩამოვედი, ნაცნობ-უცნობი „მოსკვირისთვის“ თვალის არ მომიკრავს...

შაშა და კოლა

— პაპაჩემ სოსო ერქვა, მამაჩემსაც. მეც სოსო მქვია და ჩემ შვილსაც. შვილიშვილსაც ეს სახელი დე-



ვარქვით. ჩემ მეზობელს, კოლას, ეტყობა, ძაან მოეწონა ეს სახელი და თავის შვილიშვილს იმანაც სოსო დაარქვა. მაგრამ სოსო არც იმი პაპაი ერქვა და არც მამაი. გამოდის ერთხელ კოლა ეზომი და ბაღს ეძახის:

— შოშო, შოშო, შადა ხარ, ბიჯო! ბრაზი მამივიდა და ვეუბნები!

— შე ვირისთაო, თუ „ს“-ს თქმა არ შეგეძლო, დაგერქვია შაშა და შაშა და კოლა იქნებოდი!

ამის მთხრობელი გულიანად იცინის და გვეკითხება:

— შაი, არ უნდა მეთქვა? შა, არ უნდა მეთქვა?

ხიბას ხახვი და ნიორი

— ყელს გამოვიჭრი, თუ ხიბას ჯიბეში ხახვი და ნიორი არ ედოს, — ყურში მიჩურჩულეს გუმარი პაპა.

— რად უნდა?

— სალაყოზე დიდი ქვა რო გდია, ხო იცი. როგორც კი ორიოდე კაცი მოგროვდება, ხიბა ჯიბიდან ხახვსა და ნიორს ამოიღებს, ქვაზე დაალაგებს, თქვენც დაამბავთ რამე და ვიპურმაროლოთო. მერე ვის ღვინო მოაქვს, ვის არაყი, მყავე და მწარე. ისეთი სუფრა გაიშლება ხოლმე, შენი მოწონებული...

— ხიბავ, ხახვი არა გაქვს? — მივუბრუნდი ხიბას.

— ჩემი თავი გენაცვალოს, როგორ არა მაქვს! — ჯიბეში ხელს იყოფს და მუჭით ხახვის თავებს მაწვდის.

გულიანად ვიცინი.

— მაგის ოინებია, რაღაა გითხრა, — თითით გუმარი პაპაზე მანიშნებს და თავს აქნევს.

ბოცანა

მბსოს ღვინო და დროსტარება ქვეყანას ურჩევია. ერთხელ მოყვრებში წასულა. დაფხავებულ „ჩიგულში“ საფურავით სავსე ოცლიტრიანი გვერდით მიუღებამს, ცოლი კი უკან დაუბრძანებია.

— მოვეხვიე თუ არა, ბოცა წაიქცა. საჭე სუღამა ვიყავი, ბოცასა ვგაბე ხელი და გადავეყვიე კიდეც თხრილში! ცოლი წივის და კივის, მიშველეო. მაგი დარდი მქონდა? ბოცაი უგურიალადი, ხო არ გაგყდა და არ დაველუქე-მეთქი, — ჰყვებოდა მერე მახო.

პოდა, მიაწვებს კიდევ მარკასავით „ბოცანა“.

ჩანთები მანდ არი?

მანდარი მამით ობოლი იყო. დედამისის ძალიან რომ გასჭირვებია, ცოტათი ნეღლი ლობიო დაუკრეფია და ქალაქში წაუღია, იქნებ ორიოდე გროსს გამოვრჩე, ბაღლები შევმოსო. ბიჭიც თან წაუყვანია. ვაგონში აღვსივით ერთად ვერ უნახავთ და ცალ-ცალკე დამსხდარან. სონა ძალი შვილს წარამარა გასძახებდა:

— ჩანთები მანდ არი?

— აქ არი! — პასუხობდა ისიც.

ამ გადაძახილ-გადმობხილში მატარებელმა კარგად გაიმანძილა. დაიხედა მანდარიმ ძირს და... საღამო ჩანთები! აუწანავთ!

მეღსახელი კი დღემდე შემორჩა.

დემოსტენე და სარო

დემოსტენე ველისციხელია. ენაბრგვილმა ინსტიტუტი როგორღაც მოახლაფორთა, მაგრამ სამსახური ვერ იშოვა. იქნებ სკოლაში მაინც

მამასწავლებლო, განათლების განყოფილებაში წასულა. წინ ბეჭმრუდ სარო შემოჰყვია. საით გაგიწვიეთ? — უკითხავს საროს.

— განათლების განყოფილებაში. იქნებ გააკვეთილები მამცენ.

— მერე, ოთხმოცდაათწუთიანი გაკვეთილები უნდა ჩააგარო?

დემოსტენე დაბოღმულია. შენ საღაა მიდიხარო, — ახლა იქით უკითხავს. პასპორტისთვის სურათი უნდა გადავიღო, — უპასუხნია საროს.

დემოსტენეს თვალები გაბრწყინებია:

— მერე, კუმიანი რო ხარ, როგო უნდა ჩააქრა, შა?

ელგუჯა ლეზანიძე.

მსოფლიო შტრიხები

როტორუ

ცელე-სერიალებში

შემოქმედებული კინოსერიალებით გატაცებულმა ბრაზილიელმა მარტინელა დელამ გერმა ენანსმა გადაწყვიტა, თავისი ცხრა წლის გოგონასათვის დაემტკიცებინა, რომ მამამისი სწორედ ის კაცია, ვისმაც მისთვის ბეგერი რამ უამბია. თავად თავისი ყოფილი თაყვანისმცემელი კი დაარწმუნა სათანადო ანალიზების გაკეთების აუცილებლობაში.

სწორედ იმ „საპნის ოპერებისა“ არ იყო, მოხდა უცნაური რამ — ანალიზებმა აჩვენეს, რომ არც ერთ მშობელს გოგონასთან არავითარი დამოკიდებულება არ გააჩნია, ორმა განმეორებითა გამოკვლევებამ დადასტურა, რომ შეცდომა გამორიცხვია.

როგორც ჩანს, ბავშვი ჯერ კიდევ სამშობლოში შეცვალეს და სხვა ახალშობილი აერიათ. ისე რომ, დედამ დიდი თავსატეხი გაიჩინა.

აბა, ცხრა წლის შემდეგ ვინ მიანებებს სიმართლის გამაგებლს?

ყბედყრებებს ვადაყრილი ბედნიერი

სორმარბომის მოქალაქეს, 74 წლის ფრენკ სელაკს თითქოს ბედის არ სწყალობდა — ის შეიღჯერ მოხვდა სერიოზულ კატასტროფაში, მაგრამ, საბედნიეროდ, მუდამ უვნებლად გადარჩა.

პირველად ფრენკი სასწაულად გადარჩა 1962 წელს, როდესაც მატარებელი, რომლითაც ის მიემგზავრებოდა, ლიანდაგებს ასცდა და მდინარეში გადავარდა. დაიღუპა 17 კაცი. შემინებულმა ფრენკმა კი როგორღაც ნაპირამდე გასცურა. ერთი წლის შემდეგ 19 აბა-მიანი, რომელთა შორის სელაკიც იყო, თვითმფრინავიდან გადმოვარდა, ყველა დაიღუპა ფრენკის გარდა, რომელიც თავის შეინში ჩავარდა. ამის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე მოხვდა ავტოავარიში, იწვოდა, იხრბობოდა, მაგრამ მუდამ უვნებლად რჩებოდა.

და აი, ბოლოს ბედმა გაუღიმა, ლატავიაში ჯექ-პოტი — 900 ათასი დოლარი მოიგო.

ის საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ღმერთი მის მხარესაა!

ახალი მსოფლიო რეკორდი

პრემიერის ცნობილმა ოსტაგმა, ჩელაბინსკელმა ანდრეი პგამკინმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა კარგის დასტის დამახსოვრებაში. ის 15 წუთის განმავლობაში დასტეჭროდა მის წინ განმული 100 კარგს, შემდეგ მაყურებლებისა და პროფესიონალი კრუპების მეთვალყურეობა დასახელება ის თანამიმდევრობა, როგორც ელგა კარგები.

ეს ახალი მსოფლიო რეკორდია, რითაც პგამკინმა აჯობა ინგლისელ ღნი ბუდას, რომელსაც კარგის დასამახსოვრებლად ადრე ნახევარი საათი დასტეჭროდა.

დემოსტენეს თვალები გაბრწყინებია:

— მერე, კუმიანი რო ხარ, როგო უნდა ჩააქრა, შა?

ელგუჯა ლეზანიძე.







